# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 79 სამშაბათი, 1 დეკემბერი 1909 წ. № 79

გაზეთი „მომავალი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნომრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ-გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისს გარეთ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კაპ., მეოთხეზე—10 კაპ. ... ლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისთვის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი"

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში და თფილისს გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალის» კანტორაში, ბათუმში, ... ქუთაისში ...

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქაშვეთის ქუჩა, სიკეთის სახლი, № 7, „კავკასი" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბადიაშვილი შ. დ.** შინაგანი და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მგალობლიშვილი ნ. მ.** ქირურგ. ყოველ დღე, გარდა ... 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშაბათ, ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საზებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—49)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შედავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—49)

ქ. ბათუმში

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მაღაზია

## კ. ა. მაჭარაშის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები", „კლიონკები" და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს, (0—6—4)

## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით, დღეს დაკლებულ ფასებში 20 კ-დან გლაზუნოვის 1, სცენა **ბალეტი** 2) M-me **ბატტერფლეი** მონაწილეობენ ქ-ნნი: აოდი) ელაგინა, ხასლევსკაია, ოსსოვსკაია, ფერრარი, შულგინა; ბ-ნნი: დემიანენკო, ევლახოვი, კორჩმარევი, მაჩალოვი, პევცოვი, ტირაციანი. დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები დაკლებულია. ხვალ «მხიარული ქვრივი». შაბათს, 5 დეკემბერს gala წარმოდგენა პირველათ ვ ნ. გარტეველის „**გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა**". 16 დეკემბერს ბენეფისი ა. გ. ბორისენკოსი.

## თფილისის სახაზინო თეატრი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომმისარჟევსკაიას **გასტროლები**, 6-დან 13 დეკემბრამდის.

ვერა ფედოროვნა **კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 6 დეკემბერს
„**სამშობლო**"
დრამა 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა

სამშაბათს, 8 დეკემბერს
„**ნორა**"
დრამა 3 მოქმ. იბსენის, თართ. განზენისა.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს
„**უმზითვო**" (безприданница)
დრამა 4 მოქმ. ოსტროვსკისა.

შაბათს, 12 დეკემბერს
„**ცხოვრების ნადიმი**"
ახალი პიესა პშიბიშევსკისა 4 მოქმედება.

ორშაბათს, 7 დეკემბერს
„**დიკარკა**"
კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკის და სოლოვიევის

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს
„**სასტუმროს პატრონი ქალი**"
კომ. 3 მოქმ. 4 სურ. გოლდონისა.

პარასკევს, 11 დეკემბერს
„**პეპელათა ბრძოლა**"
კომ. 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა.

კვირას, 13 დეკემბერს
„**ოგნი ივანოვოი ნოჩი**"
დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

**დასაწყისი საღამოს 8 ს.**

დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ქიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლოს.

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დზეძუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში,

ახალი ბინა: **ავჭალის ქუჩა № 34.**

კბილის ექიმი

## ს, ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის, საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

## იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის" რედაქციაში ს. კ—ან. 0—თ—26

## ბათუმში

## რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—10) **გამგე გიორგი მახარაძე.**

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

**ეტლი 5 ან 12 ალაგიანი და სხვა და სხვა**

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zürich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—21)

## ქ. გორში

გაზეთ «**მომავალი**»-ზე ხელის მოწერა და „**მომავალი**"-ში დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე **ლევან ბუაძესთან.** აქვე იშოვება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები.

რკ. გზ. შკაფის გამგე **ლევან ბუაძე.** (10—4)


# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29—30 ნოემბერი.

### ოსმალეთი.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. ტრიბუნები მთლათ გაჭედილია. დიდი ვეზირი კითხულობს მოკლე მიმოხილვას მდ. ტიგრზე და ეფრატზე მიმოსვლის ინგლისის კონცესიის შესახებ. ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის ფრაქციის ბელადი ხალილ-ბეი აცხადებს, რომ კონცესია პალატას უნდა წარმოედგინოს განსახილველათ. დიდი ხმის უმეტესობით ხალილ-ბეის წინადადება მიიღეს, როცა დიდი ვეზირი წამოდგა და კითხვა დასვა ნდობის შესახებ, ახმედ-რიზამ უცბათ სხდომა შესწყვიტა.

სხდომის განახლებისას დიდმა ვეზირმა განაცხადა, რომ კაბინეთი თანახმა არ არის პალატის მიერ მიღებულ რეზოლიუციის და კითხვა დასვა ნდობის შესახებ. მან ითხოვა ნდობა გამოუცხადონ კაბინეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში განათავისუფლონ მოვალეობისაგან. ფინანსთა მინისტრი ცდილობს გააცნოს პალატას საქმის ვითარება; მას ლაპარაკს უშლიან და არწმუნებენ, რომ დიდი ვეზირის სიტყვებს იმეორებს. ბოლოს, როგორც იქნა, ფინანსთა მინისტრმა განაგრძო სიტყვა. მას ტაშს უკრავენ. რიგრიგობით გადიან ტრიბუნაზე დიდი ვეზირი, ხალილ-ბეი, ინტერპელიატორები, მაგრამ პალატა არავის ლაპარაკის ნებას არ აძლევს, რისთვისაც.. (გამოტოვებულია). დიდი ვეზირი დაჟინებით ამბობს, რომ საბუთების წარმოდგენა შეუძლებელია, რამდენიმე ორატორი და მათ შორის იზმაილ-ხაკი, კომიტეტის ფრაქციის წევრი, ლაპარაკობენ კაბინეთის წინააღმდეგ. რჩება 40 ორატორი. სხდომა გადაიდო ორშაბათისთვის.

**სტამბოლი.** პერის ახლოს მონოპლანით აფრინდა ბლერიო. რადგან ძლიერი ქარი იყო, მონოპლანი სახლის სახურავს მოედვა და ძირს ჩამოვარდა. ბლერიო ცოტათი დაშავდა.

### საზღვარ-გარეთ

**ბელგრადი.** რადგან სკუპშჩინის საფინანსო კომისიამ უარი თქვა ახალ კაზარმების ასაშენებლათ შვიდი მილიონის გადადებაზე, სამხედრო მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

**რომი.** გამოცხადებულია შემდეგი ოფიციალური სია: მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი სონნინო, საგარეო საქმეთა მინისტრი გვიჩიარდინი, იუსტიციის—სციალოია, ხაზინის—სალანდრა, ფინანსის—არლოტტა, სამხედრო—გენერალი სპილინგარდი, საზღვაო—ადმირალი ბეტტოლო, სახალხო განათლების—დანკა, საზოგადო სამუშაოთა—რუბიჩი, მიწათ-მოქმედების და ვაჭრობა-მრეწველობის—რუცცატი.

**ლონდონი.** ალბერტ-გოლდში მოხდა ლიბერალთა დემონსტრატიული წინასწარი საარჩევნო კრება. დაესწრო 100,000 კაცი.

**ბერლინი.** ნაციონალ-ლიბერალებმა რეიხსტაგში შეიტანეს წინადადება კონსტიტუციის შეცვლის შესახებ იმ აზრით, რომ იმპერიის კანცლერი პასუხისმგებელი იყოს იმპერატორის მთელი მოქმედების.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი დროებითი ბიუჯეტის შესახებ.

**ვენა.** ფრიდიუნგის საქმეზე შეეკითხენ მოწმე ხლიუმეცკის, რომელმაც აჩვენა, რომ დეპუტატი სუპილომ ავსტრიის კერძო წყაროდან მიიღო ორასი კრონი, ღებულობდა აგრეთვე ფულებს მინისტრ კალლაიადან. სუპილო პატიოსანი სიტყვით ამტკიცებს, რომ არაფერი არ აუღია. ხლიუმეცკი ამბობს, რომ თვითონ აძლევდა ფულებს (დარბაზში დიდი მოძრაობაა). მოწმე დოროტკო ამტკიცებს, რომ ყოფილ გუბერნატორ ფიუგედან გაიგო, როგორ აძლევდა ის სუპილოს ათ ათ კრონს თვითოეულ პოლიტიკურ სტატიისთვის. სუპილო აცხადებს, რომ არას დროს არ ულაპარაკია საპარისთან.

**ვენა.** ბიუჯეტის კითხვა გათავდა და გადაეცა საბიუჯეტო კომისიას.

**ბუფფალო.** ქარ-ბუქმა ერთი მილიონი დოლლარი ზარალი მიაყენა. დაიღუპა 52 კაცი.

**ვენა.** „პოლიტიშე კორესპონდენტმა" გამოაქვეყნა წერილი პეტერბურგიდან რუსეთ იაპონიის კონფლიქტის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა გაზეთებში გამოსთქვეს აზრი, თითქო შორეულ აღმოსავლეთში საქმე მწვავდება· სიმართლე არ არის. პეტერბურგსა და ტოკიოს შუა დამოკიდებულება არ არის გამწვავებული. შეიძლება კიდევაც ითქვას, რომ ორივე სახელმწიფოს მეგობრული განწყობილება აქვთ. ტყუილია აგრესიული მოძრაობის შესახებ ხმები. ამ წერილის შესახებ «ფრემდენბლატი» შენიშნავს: მოგვყავს ეს წერილი და ვამოწმებთ, რომ ის სრული სიმართლეა. შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობაა.

### რუსეთი

**ტამბოვი.** სოფელ ლეონტიევკაში ოთხმა მძარცველმა მოკლა მამასახლისი, გაიტაცა გამხესხებელ ამხანაგობიდან 1500 მანათი და მიიმალა. ერთი მათგანი იცნეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ისევ გაიხსნას ლიტერატორთა და მეცნიერთა ურთიერთ დამხმარებელი კასა.

**პეტერბურგი.** ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდალურ კანტორის პროკურორათ დაინიშნა პოლტავის სასულიერო კონსისტორიის მდივანი პოპოვი.

**პეტერბურგი.** სენატის პირველმა დეპარტამენტმა მოსპო თფილისის გუბერნატორის ლოზინ-ლოზინსკის საქმე. სენატმა პასუხის გებაში მისცა რუზსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დოლგორუკი, კოსტრომის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი პერელეშინი და ნიკოლაევის მაზრის წინამძღოლი აკიმოვი.

**მოსკოვი.** ღამით რამდენიმე კაცი დაიჭირეს საიდუმლო ორგანიზაციის წევრობისთვის.

**პოლტავა.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია 1905 წელს ზენკოვის საპოლიციო სამმართველოზე შეიარაღებულ ბრბოს თავდასხმის საქმე და სამს მიუსაჯა ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, შვიდს—ციხე და ოთხი გაამართლა.

**პეტერბურგი.** გაიხსნა სრულიად რუსეთის ნაციონალური კლუბი. საწევრო ფული უდრის 10,000 მანეთს. კლუბის გახსნას დაესწრენ რუსეთის ნაციონალური ფრაქცია, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვანი.

საოლქო სასამართლოში გათავდა პურიშკევიჩის და გაზეთ „კოლოკოლი"-ს რედაქტორის საქმე, რომელთაც ცილის წამებას აბრალებდენ. სასამართლომ ორივე გაამართლა.

**ნოვოჩერკასკი.** სწრაფი მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა, დაზიანდა მრავალი ვაგონი. მოკლულია საქონლის მატარებლის მემანქანე. მგზავრები მსუბუქათ დაშავდენ.

**პეტერბურგი.** მივიდა თუ არა არდებილში რუსეთის ჯარი, შახსევანებმა ქალაქი დასცალეს და თაყიანთ ადგილებისაკენ წავიდენ. მას შემდეგ არდებილში მშვიდობიანობა დამყარდა, მხოლოდ ასტარისა და თავრიზის გზაზე ისევ ხდება თავდასხმები. ამის გამო რუსეთის მთავრობამ საჭიროთ არ სცნო ძლიერი რაზმის არდებილში დატოვება და დიდი ნაწილი უკანვე გაიწვია. არდებილში დარჩა სამი როტა ქვეითი ჯარი, სამთო ბატარეია, ასეული კაზაკი და საპიორთა კამანდა. რაც ზარალი მოუვიდათ რუსეთის ქვეშევრდომთ, ამის პასუხს აგებს შახის მთავრობა, რომელმაც უკვე ზომები მიიღო აზღვევინოს ყარადაღელებს და შახსევანებს ეს ზარალი. ამასთანავე, სპარსეთის მთავრობას ეცნობა, რომ თუ მან დროზე ვერ შეასრულა ეს დავალება და რუსეთის ქვეშევრდომნი ვერ დააკმაყოფილა, მაშინ თვითონ მიიღებს ზო-

მეპე ყარადაღელების და შახსევანების წინააღმდეგ.

**ლოძი.** დაიწვა სტანისლავ რეიხერის ფაბრიკა.

**პეტერბურგი.** „ფინლიანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია: სენატმა დაამტკიცა ვიბორგის გოფგერიხტის განაჩენი პოლოვნევის საქმის შესახებ, მხოლოდ დაადგინა, რომ რადგან პოლოვნევმა ბევრი დრო გაატარა ციხეში, შეუმციროს კატორღის ვადა 20 დღით. პოლოვნევი კატორღაში დაყოფს სულ ხუთ წელს, ექვს თვეს და ხუთ დღეს.

**ვარშავა.** ღამით მალომინსკის ქუჩაზე ორმა უცნობმა ხმაურობა ასტეხა, რომ პოლიციელებს ყურადღება მიექცია. როცა მათთან მივიდა ორი გოროდოვოი, უცნობებმა სროლა აუტეხეს, მძიმეთ დასჭრეს ორივე და მიიმალენ. ერთი გოროდოვოი მოკვდა.

**პეტერბურგი.** აქ ცნობა მოვიდა, რომ ქაირში გარდაიცვალა პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ლესგაფტი.

# უკანასკნელი ფოსტა

## რუსეთი.

**მუშების შუამდგომლობა.** ვიატკის გუბერნიაში მდებარე ინკოვსკის თუჯის ჩამომსხმელი „ზავოდის“ მუშებმა შუამდგომლობა აღძრეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის წინაშე, რათა ხსენებული „ზავოდი“ გადაეცეს მათ კოოპერატიულ ნიადაგზე საწარმოებლად. ხსენებული „ზავოდი“ პატრონის უსახსრობის გამო ამ ჟამათ დახურულია და 5 ათასი კაცია ულუკმაპუროთ დარჩენილი. მუშების თქმით არა თუ მარტო ისინი ირჩენდენ თავს ხსენებული „ზავოდით“, არამედ—ახლო-მახლო მოსახლე გლეხებიც, რომლებიც ამ ჟამათ ისეთ მდგომარეობაში არიან, როგორც ჩვენი. „ზავოდები“ იმის გამო დაიხურა, რომ ზარალობდა. მუშები კი ამბობენ, რომ თუ ჩვენ გადმოგვცემთ „ზავოდს“, ფუთ თუჯს ხაზინას 48 კაპ. მივცემთ, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჟამათ ფუთი თუჯი ყველგან 56 კ. ღირსო.

**ჯამაგირების გადიდება.** სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც მოითხოვს სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორთა ჯამაგირების გადიდებას. ამ კანონ-პროექტის მიხედვით დირექტორების ჯამაგირი იქნება 3,600 მან. და მისვლა-მოსვლისათვის 600 მ., ინსპექტორების ჯამაგირი იქნება 2,400 მ. და მისვლა-მოსვლისათვის 600 მ.

**ციხეების გადაკეთება.** დეკემბრის დასაწყისში სამხედრო მინისტრი დუმაში კანონ-პროექტს შეიტანს 16 მილიონ მანეთის კრედიტის დასამტკიცებლათ. ეს ფული მოხმარდება რუსეთის ციხეების გადაკეთებას და უკანასკნელ ტეხნიკურ გამოგონებათა შეძენას.

**1 მაისის დღესასწაული.** შეკითხვების კომისიას 24 ნოემბერს მსჯელობა ქონდა ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ 1 მაისის დღესასწაულზე. კამათმა მწვავე ხასიათი მიიღო და გაგრძელდა 2 საათს. შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა ჩხეიძემ, რომელიც იცავდა შეკითხვას და ამტკიცებდა, რომ 1 მაისის დღესასწაულს ინტერნაციონალური ხასიათი აქვსო. შეკითხვა უარყოფილი იქნა 12 ხმით 5-ს წინააღმდეგ. ამ ხუთთა რიცხვში არის ფალცფეინი, ცნობილი მილიონერი, ბევრი ქარხნების პატრონი სამხრეთ რუსეთში.

**პეტერბურგის ხარჯთ-აღრიცხვა.** პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობამ უკვე შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლისათვის. ამ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ქალაქის მოსალოდნელი შემოსავალი უდრის 35,089,476 მ. გასავალი კი—35,018,789 მ. და 30 კაპ.

**მარკოვ 2 სიტყვა.** მარკოვ 2-ეს ხეპრე სიტყვამ, რომელიც მან ამას წინათ დუმაში წარმოსთქვა, ევროპის ყურადღებაც კი მიიპყრო. ზოგიერთი გაზეთები გაკვირვებას გამოსთქვამენ თავმჯდომარე ვოლკონსკიმ როგორ მისცა მარკოვ 2-ს დუმის კედლებში იგეთი საქციელი ჩაედინა, რაც ყოვლად შეუძლებელია ევროპის რომელიმე პარლამენტისათვის.

**თანაგრძნობის გამოცხადება.** ბრიუსელის ვექილთა საზოგადო კრებამ პროტესტი გამოუცხადა რუსეთის მთავრობას ა. ი. გელერსონის გასამართლებისათვის და დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს გელერსონს.

**პროფესორის დატუსაღება.** 24 ნოემ. ღამით კიევის საიდუმლო პოლიციამ პოლიტეხნიკუმის პროფესორ რუზსკის ბინა გაჩხრიკა. გაჩხრეკის შემდეგ რუზსკი დაატუსაღეს. მიწერ-მოწერა პოლიციამ წაიღო. რუზსკი ორჯერ იქნა ინსტიტუტის დირექტორათ არჩეული, მაგრამ სამინისტრომ არც ერთხელ არ დაამტკიცა. რუზსკი დაატუსაღეს პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით.

**ქალ. თვითმართველობა პასუხი ვებაში.** პოლტავის ქალაქის თვითმართველობა სასამართლო საკრებულოს დადგენილებით პასუხის გებაში იქნა მიცემული, რადგან ქალაქის თვითმართველობამ დროზე არ დააკმაყოფილა სამხედრო მთავრობის მოთხოვნილება,—ბინა აღმოეჩინა ჯარების დასაბანაკებლათ.

**შუამდგომლობა** დეპუტატ გეგეჭკორმა კიევიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: ჩემი ძმა და მასთან 30 სხვა ტუსაღი 22 დღეა, რაც ლუკიანოვსკის ციხის საკარცერო განყოფილებებში არიან დამწყვდეული უქვეშაგებოთ და უწმინდურების ჭურჭლით (პარაშა). დღე-ღამეში ეძლევათ მხოლოდ ორი გირვანქა პური და აუდუღებელი წყალი. უმორჩილესათ გთხოვთ დაგვეხმაროთ. ბოლგარიის ქვეშევრდომი ვასილ სემინაროვი.

ე. პ. გეგეჭკორმა დეპეშის შინაარსი ციხეების უმთავრეს სამმართველოს უფროსს და ბოლგარიის ელჩს აცნობა.

## საზღვარ-გარეთ

**არჩევნები ინგლისში.** ინგლისში პარლამენტის არჩევნები დაიწყო. ბევრ ადგილას დიდი სახალხო კრებები გაიმართა, სადაც მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენელნი გამოვიდნენ ორატორებათ.

არჩევნები ინგლისში გ[illegible] თვეს. ასე რომ, ახალი პარლამ[illegible] თებერვლის ბოლოს შესძლებს შეკრებას. ინგლისი კი სამი თვის განმავლობაში დაუმტკიცებელი ბიუჯეტით დარჩება, რაც დიდ არევ-დარევას გამოიწვევს სახელმწიფოში.

**ნიკარაგუა და შეერთებული შტატები.** ამას წინათ ნიკარაგუას რესპუბლიკის მთავრობამ ორი ამერიკელი რევოლიუციონერი სიკვდილით დასაჯა. ამ შემთხვევამ დიდი განხეთქილება გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნიკარაგუას რესპუბლიკას შორის. შეერ. შტატებმა დიდძალი ჯარი და საომარი იარაღი გაგზავნა გემებით ნიკარაგუას წინააღმდეგ. სამაგიეროთ, არც ნიკარაგუას რესპუბლიკაა გულ-ხელ დაკრეფილი, იქაც დიდი საომარი მზადებაა. პრეზიდენტი ზელაი თითონ მეთაურობს რესპუბლიკის ჯარებს. მან განაცხადა, რომ ის ბრძოლაში სიკვდილს არჩევს ამერიკის მონათ გახდომას.

# შორეული აღმოსავლეთი

## საერთო მდგომარეობა.

რუსეთის გაზეთების სიტყვით შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა ვითარება დიდ ყურადღებას იქცევს პოლიტიკურ წრეებში. თუმცა იაპონიის სამხედრო ნავთან კამჩატკის ნაპირებთან მომხდარ ინციდენტს დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ, ვინაიდან ასეთი ინციდენტი ისეთ უდაბურ ადგილზე, როგორიც კამჩატკის ნაპირებია, ყოველთვის შეიძლება მოხდეს, მარა ხარბინიდან და ვლადივოსტოკიდან უფრო შემაძრწუნებელი ამბები მოდის—იქ ხელ-ახალ ომს მოელიან, რაც ცუდ გავლენას ახდენს მთელი მხარის ეკონომიურ განვითარებაზე: არა თუ არ აშენებენ ახალ ქარხანა-ზავოდებს, არამედ—არ ყიდულობენ სახლებს, მამულს და სხ. ვაჭრობა-მრეწველობა თანდათან ეცემა. ამასთანავე, ლაპარაკობენ აგრეთვე პეტერბურგსა და ტოკიოს შორის (იაპონიის სატახტო ქალაქია) რაღაც მოლაპარაკებაზე, რასაც შედეგათ მოყვება იაპონიის და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთზე გავლენის განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენებაო. ასეთი ხმებით გადაჭრილ აზრზე დადგომა ძნელია—არავინ იცის რა მოხდება, მარა საქმის მცოდნე პირთა გადმოცემით შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა მდგომარეობა შემდეგში გამოიხატება: დამოკიდებულება იაპონიისა და რუსეთის შორის ჯერ-ჯერობით ჩვეულებრივია, არავითარი უთანხმოება ამა თუ იმ კითხვის შესახებ არ მომხდარა. საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელიარიებს, პეტერბურგისას და ტოკიოსას, ურთი-ერთ შორის კარგი დამოკიდებულება აქვთ. არა თუ „გავლენის განსაზღვრას“, არამედ—ამ ჟამათ რუსეთსა და იაპონიას არავითარი მოლაპარაკება არ აქვთ რაიმე სერიოზული საკითხის შესახებ. პეტერბურგში ჯერ თურმე დანამდვილებით არც კი იციან, თუ რათ წამოვიდა ამას წინეთ იაპონიიდან მარკიზ იტო ხარბინში, სადაც ის მოკლულ იქნა, რუსეთის ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის სანხავათ. რომ ის წამოვიდა კოკოვცევთან რაიმე დიდი საქმის გამო, ამაში არავის ეჭვი არ შეაქვს, მარა რა საქმე ჰქონდა—ეს კი ვერ გაუგიათ. ასე რომ, ოფიციალურ ცნობებს თუ დავუჯერებთ, თითქოს ყველაფერი ძველებურათ—რიგზეა, მარა ხარბინიდან და ვლადივოსტოკიდან დაბრუნებულთ შორეულ აღმოსავლეთში საქმის მდგომარეობა არაჩვეულებრივათ მიაჩნიათ. იქ საქმეთა მსვლელობა რომ სერიოზულია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ იაპონია მუდამ საომარ მზადებაშია. საომარ მზადებას შეუდგა იაპონია პორტსმუტის ზავის ჩამოგდების (ეს მოხდა აგვისტოში, 1905 წ.) მეორე დღესვე თავისებურის ენერგიით და დღემდე მეცადინობს ამ მხრით რაც ძალი და ღონე აქვს. ამ ხნის განმავლობაში თავისი მუდმივი ჯარის რიცხვი იაპონიამ გადიდა, გაუმჯობესა მათი შეიარაღება, გაამაგრა ნავსადგურის ქალაქები კორეიაში, გაიყვანა ახალი რკინის გზები, რომლებიც იაპონიის საზღვრებს სამხრეთ მანჯურიასთან აერთებს. რუსეთის მთავრობას კი ამ ხნის განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში თითქმის არაფერი არ გაუკეთებია; ასე წარმოიდგინეთ, ისიც ვერ [illegible] ვლადივოსტოკი [illegible] მხრით [illegible] მთელი თა[illegible] [illegible]მარით—რუსეთის მთავრობის სრული უმოქმედობა აი რაში მდგომარეობს მთელი შიში შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ. ამ აზრის არიან შორეულ აღმოსავლეთიდან ამ ჟამათ რუსეთში დაბრუნებულნი, რომელნიც იქაურ საქმეებთან კარგათ არიან გაცნობილნი. ასე გადმოგვცემენ საქმის ვითარებას რუსეთის გაზეთები.

# კაპიტალის წარმოშობა *)

(მოკლე ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა)

წარმოებაში დაბანდებული ფული იზრდება, მოგება ემატება თავნს—იქცევა კაპიტალათ. კაპიტალი (ვგულისხმობ მთელ საწარმოვო პროცესს), ქმნის ზედმეტ-ღირებულებას. ზედ-მეტი ღირებულება ემატება კაპიტალს და ამგვარათ ეს უკანასკნელი იზრდება. კაპიტალი იზრდება ამ ბრუნვის დროს, მაგრამ აქ იბადება კითხვა: საიდან წარმოიშვა პირველი კაპიტალი? კაპიტალისტური წარმოება გულისხმობს ერთი მხრით დიდ-ძალ კაპიტალს და მეორე მხრით „თავისუფალ“ მუშებს და ყველა ამას მწარმოებელთა ხელში, მათ სრულ განკარგულებაში. კაპიტალი მხოლოდ მაშინ იზრდება, როდესაც ქმნის ზედმეტ-ღირებულებას. ზედმეტი-ღირებულება მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც არსებობს კაპიტალი. მთელი ეს პროცესი მოჯადოებულ წრეში ბრუნავს. რა იყო წინეთ—ზედმეტი-ღირებულება თუ კაპიტალი? რომ დავაღწიოთ თავი ამ ჯადოსნურ წრეს,—საჭიროა განვიხილოთ ეგრეთ წოდებული „წინასწარი მოგროვება“ первоначальное накопление ეს „წინასწარი მოგროვება“ არის არა შედეგი კაპიტალისტურ წარმოებისა, არამედ—მისი დასაწყისი და სათავე. საიდან და როგორ წარმოიშვა კაპიტალი? ამ კითხვაზე ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ყოველთვის მზათ აქვთ პასუხი. აქ ისინი მოგვითხრობენ ჩვენ ზღაპარს. გვიამბობენ: თუ როგორ მშრომელი, კეთილი და ხელმომჭირნე მუშა შეიქნა კაპიტალისტათ და ზარმაცი, ქარაფშუტა მუშა დაქვეითდა და იქცა პროლეტარათ და მისაჯა მათ: „ოფლითა თქვენითა მოიპოვებდით პურსა თქვენსა“.

მაგრამ ამგვარი ზღაპარი ველარ დააკმაყოფილებს დღეს საზოგადოებას.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ევროპის ეკონომიურ ისტორიას მე-XIV ს. (მე უმთავრესათ სახეში მექნება ინგლისი და იტალიის ქალაქები: გენუა, ფლორენცია, ვენეცია, პიზა, დიუკა და სხვა) დავინახავთ, რომ კაპიტალიზმი აღორძინდა სხვა გზით და სხვა საშუალებით. ევროპის ამ ხნის ისტორიას აქვს ორი მხარე. ლიბერალური ისტორიკოსები მხოლოდ ამ ისტორიის ერთ მხარეს აქცევენ ყურადღებას, რადგანაც მეორე მხარე ამ ისტორიისა არის მეტათ მძიმე მოსაგონებელი (რა საჭიროა იცოდეს მშრომელმა მასსამ ბნელი წარსული ჩვენი ისტორიისა; ხანა გლეხ-კაცობის უსასტიკესი დევნისა, ხანა გლეხთა უსაშინელესი აჯანყებისა). კაპიტალისტური მეურნეობა წარმოუდგენელია ისე, თუ არ არსებობს „თავისუფალი“ მუშა ხელი. ფეოდალურ წეს-წყობილების დროს მშრომელი მასსა ყმაა თავად-აზნაურობის. ბატონის დაუკითხავათ მუშას არ შეუძლია ფეხი გადაადგას. პირველ ყოვლისა, კაპიტალიზმის აღორძინებისთვის საჭიროა მშრომელ ხალხის ბატონ-ყმურ უღლიდან განთავისუფლება. ბურჟუაზია, ხელ-ფეხ შეკრული ფეოდალურ წეს-წყობილებით, მამაცათ იბრძოდა „თავისუფლება, ძმობა, ერთობისთვის“, მაგრამ ეს ბურჟუაზიული თავისუფლება ნიშნავდა თურმე თავისუფლათ ფაბრიკა-ქარხნების აგებას და თავისუფლათ მშრომელ ხალხის გაყვლეფას. მხოლოდ ბრძოლის ამ მხარეს აქცევენ ყურადღებას ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ეკონომისტები. ბატონ-ყმობის უღლიდან გლეხ-კაცობის განთავისუფლებაზე ბურჟუაზია გაჰკივის ყოველგან და ტრაბახობს ამით, მაგრამ ჩვენ ვიცით: ბატონ-ყმობის უღლიდან განთავისუფლებას აქვს მეორე მხარე, ბნელი მხარე, რომელსაც ბურჟუაზია ცდილობს დაფაროს და დაივიწყებას მისცეს.

მაგრამ არ დაიფარება ეს შემაძრწუნებელი მოვლენა მანამ, სანამ არსებობს დღევანდელი ძალ-მომრეობა, ბედნიერნი და უბედურნი, ღარიბნი და მდიდრები. მაშ, მივაქციოთ ყურადღება ამ პროცესის მეორე მხარეს.

„თავისუფალი“ მუშა, რაც აუცილებლათ საჭიროა კაპიტალისტურ წარმოებისთვის, უნდა იყოს თავისუფალი ორნაირათ. არ კმარა გლეხ-კაცობის ბატონ-ყმურ უღლიდან განთავისუფლება. გლეხ-კაცი უნდა იყოს პირადათ თავისუფალი და აგრეთვე ყოველგვარ საკუთრებიდან თავისუფალი. პირადათ თავისუფალი გლეხი, რომელსაც საკმაოთ აქვს თავისი კერძო საკუთრება, **) საწარმოვო საშუალებანი, კაპიტალისტურ წარმოებისთვის გამოუსადეგარია. გლეხი, რომელიც პირადათ თავისუფალია და მოკლებულია საწარმოვო საშუალებას, აი კაპიტალისტურ მეურნეობისთვის გამოსადეგი ელემენტი: გლეხი, მოკლებული კერძო საკუთრებას გამოდის ბაზარში არა როგორც თავის შრომის ნაყოფის გამყიდველი (საქონლის გამყიდველი), არამედ როგორც პირდაპირ თავის შრომის გამყიდველი—ის ჰყიდის თავის ჯან-ღონეს, თავის შრომას.

გლეხ-კაცობის ყოველგვარ საკუთრებიდან განთავისუფლება (საწარმოვო საშუალებიდან) არის აგრეთვე აუცილებელი პირობა კაპიტალიზმის აღორძინებისა. ისტორიის ეს მხარე ბურჟუაზიისსთვის არ არსებობს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ხელს აფარებენ ამ შემაძრწუნებელ მოვლენას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გლეხთა ექსპროპრიაციის ისტორია სისხლის ასოებით არის ჩაწერილი კაცობრიობის წელთ-აღრიცხვის ფურცლებზე.

**a) ინგლისის ლორდები ართმევენ გლეხ-კაცობას მიწებს.**

ბატონ-ყმობა ინგლისში მოისპო ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის დასაწყისში. ლორდები მეთოთხმეტე საუკ. მეორე ნახევრიდან შეეცადნენ ბატონ-ყმობის დაბრუნებას. ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. მხოლოდ მას ერთი შედეგი ქონდა: ლორდების ცდას ინგლისის გლეხ-კაცობამ აჯანყებით გასცა პასუხი 1381 წელს. აჯანყებამ საერთო ხასიათი მიიღო და მთელი ინგლისი შეიძრია. მოძრაობა ჩაქრობილ[illegible].

რა სურდა, [illegible] ბატონ-ყმობის სამუდამო[illegible] [illegible]ების შენარჩუნება,—ერთი სიტყვით—თემური წეს-წყობილების დაბრუნება.

(შემდეგი იქნება)

*) პატარა საგაზეთო წერილში ძნელია ამ კითხვის ფართოთ განხილვა. ამ წერილში მე შევეხები უმთავრესათ კაპიტალის წინასწარ მოგროვების ერთ მხარეს, სახ., ეგრეთ წოდებული კაპიტალის წინასწარ მოგროვების ძალდატანებითი მხარეს. ამ საინტერესო კითხვის დანარჩენ მხარეებს შემდეგ დავუბრუნდებით ამ წერილისათვის ჩვენ ვისარგებლეთ კ. მარქსის «კაპიტალით», ზომბარტის «Соврем. капитализмъ т. I и II., ვინოგრადოვის—Исторія ср. вѣковъ, ტოინბის—Промыш. переворотъ въ Англіи. ავტორი.

**) თავის თავათ იგულისხმება, რომ ჩვენ ვეხებით აქ ძირითად პრინციპებს კაპიტალის აღორძინებისას.

## ნ. გაბუნია-ცაგარლისას.

—

სამღვნოდ მინდა ვერა ვჰპოვებ
საფლავშია ტურფა ია,
სუსხში სული დაულაფავს,—
აღარა სჩანს გულ-მკერდ ღია!
ვარდი დილამ მოიძულა
სასიკვდილოდ დასჭრა გულში,
შხამ-ნიღველი ჩაუწვეთა
ბულბულს შვება-სიხარულში!
ხე გაძცვრნილი სევდიანობს
სევდიანსავ დასცქერს ბუჩქნარს,
უყვავილო ველ-მინდორი
ნაღველს ასხამს პოეტის ქნარს!..
ამ სურათს კი რა მოვსწყვიტო
საამო და გასახარი,
სითაც ხელი არ შეახო
გამოჩნდება ცრემლის ცვარი!
და მაშ, ცრემლი იის ნაცვლად
ჩავაქსოვო გვირგვინს უნდა,
ჩემი ძღვენი დღეს ეს არის
და დე დაგმოს ვისაც უნდა!..

 რ. ლეჩხუმელი.

# წერილები სპარსეთიდან

## 11

### მეჯლისის გახსნა.

პარლამენტმა ოთხი კრება მოანდომა სამადლობელ სიტყვებს. სულ ილაპარაკა 14 დეპუტატმა. როცა დეპუტატმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ადერბეიჯანის გმირებზე, შეიხო თავრიზის აჯანყებას და მის გმირ სათარხან-ბაგირხანის გალაშქრებას, დეპუტატების და დამსწრე ხალხის სიხარულ-ტაშის ცემას დასასრული აღარ ქონდა... შემდეგ სხვა ორატორებმა ჩამოთვალეს სპეხდარ—სარდარ-ასადის და მეთაურების მოღვაწეობა, სამსახური და მადლობა უძღვნეს და ქებით მოიხსენიეს... ბოლოს ჯერი მიდგა მუჯაიდებზე (რევოლიუციონერებზე). მათი სამადლობელი სიტყვა ცნობილ დეპუტატ თაღიზადეს ეძლო, როგორც დემოკრატების პარტიის ბელადს და მოწამეს პირველ პარლამენტის დანგრევისას.

დეპუტატი თაღიზადე ჩვენ სხვა დროსაც გვინახავს ტრიბუნაზე, მარა დღეს შეუდარებელი იყო. ის ყოველთვის ნელა, მარა ძლიერათ ლაპარაკობს, მისი დალაგებული აზრი ამტკიცებს მის ლოღიკის სიძლიერეს... შავი თვალ-წარბი, ახოვანი ტანადობა, ცეცხლ მფრქვევი თვალები და აუჩქარებლობა ამკობს მას. ის პირველ პარლამენტშიაც დიდ როლს თამაშობდა და ეხლაც თამაშობს. მან დაახასიათა რევოლიუციონერების თავგანწირული ბრძოლა სპარსეთში, რომ რევოლიუციას ხალხი ქმნის... დახოცილ მებრძოლთა შემწეობით ჩვენ აქ ვდგევართ პარლამენტშიო და დაუმატა: ადამიანი მიჩვეულია ქედი მოიხაროს და ადმერთოს ერთი-მეორე, ჩვენში ფარისევლურათ პატივს სცემენ დიდ პირებს, ჩვენ კი პირნათლათ პატივს ვცემთ და მადლობას, ქებას და სამუდამო ხსოვნას ვუძღვნით თავისუფლებისათვის ტანჯულ-დახოცილ მებრძოლთ. ჩვენ ქებით ვიხსენიებთ კავკასიელ მებრძოლთ: გურჯ მამაც ვაჟკაცებს, სომხების მებრძოლთ, მოსულ თათრებს და თითო-ოროლა იმ პირთ, რომლებიც ევროპიდან და რუსეთიდან ჩამოვიდნენ სპარსეთში და თავისუფლებისათვის სიცოცხლე შესწირეს. მე ვიცნობდი ერთ ჯგუფს გურჯებისას, რომელიც 42 კაცისაგან შესდგებოდა და რომელთაგანაც 6 კაცი ობლათ დაბრუნდა სახლში. მათი ბრძოლა, თავ-განწირვა და გულ წრფელობა საარაკოა, მათი სახელები ოქროს ასოებით იქნება სპარსეთის ისტორიაში აწერილიო—გაათავა ორატორმა. თვალ-ცრემლიანი დეპუტატები აღფრთოვანებული მისჩერებოდენ იქვე მყოფ გურჯს: „იაშასუნ-გურჯო“ გაიძახოდენ და გულში იკრავდენ ობლათ დარჩენილთ სპარსეთის რევოლიუციის მოწამეს. მოზღვავებულმა გრძნობამ გზა იპოვა და პარლამენტში ქვითინი გაისმა. დეპუტატები იხსენიებდენ დახოცილ სომეხ-ქართველების სახელებს და გული იმედიანათ სცემდა. პარ-

ლამენტის „მკვდრეთით“ აღდგენა, ათასი წლობით მოსისხლე მტრების ერთათ შეერთება და ეს დიადი დღესასწაული მარწმუნებელია, რომ დიდებული ხანა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში და რომ ვერავითარი რეაქცია მას ვეღარ შეაჩერებს, უკან ვერ დასწევს... სპარსელებმა დღეიდან იწყეს მონობიდან გამოსვლა, აზროვნება და ბრძოლა. ჩვენ ამ ბრძოლის დაწყება-დამთავრების მოწამენი ბედნიერათ ვგრძნობთ თავს, ვულოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას.

15 გიორგობისთვეს 1909 წ. სინემატოგრაფიაში არ შეუშვეს თათრები, როცა ქართ ინტელიგენტ ბალაბეგმა პროტესტი განაცხადა ამაზე, მას უპასუხეს: თქვენ თათრები უკულტურო ხალხი ხართ, აქ ქალებია და ამიტომ არ გიშვებთ, სახლი ჩვენია პატრონი ჩვენ ვართ. არ გიშვებთ და გნებავთო!..

16-ს დაიჭირეს 5 შანტაჟისტი (4 სომეხია) შეიარაღებულები აღმოჩნდენ, დაშნაკცაკანების რაზმელები... ჯემშიდს (ვაჭარია) ფულებს თხოვდენ—დაშნაკცაკანებმა ანჩაკისტებს გადაბრალეს... თათარს „იშმაი ამუის“ ყალბი ბეჭედი აღმოაჩნდა...

18-ს საღამოს სამხედრო მინისტრთან ვიყავი, მუსაიფის დროს მან განაცხადა: სენატი უნდა დავაარსოთ, რადგან ძირიათად კანონში გვიწერიაო... სხვადასხვა პარტიების შექმნა და ორგანიზაციების მოწყობა არ ვარგა ახლა, რადგან ჩვენ მთლიანობას ხელს შეუშლის. ჩვენ, მინისტრები, და პარლამენტი ერთნი ვართ, ერთი გზით უნდა ვიაროთ!.. გამომშვიდობისას წერილი მიმიწერა სარდარ ასადთან.

20-ს დილით ათ საათზე ვიყავით შინაგან მინისტრ სარდარ-ასადთან. მე მახლდა თარჯიმნათ ბალაბეგი და ბაგირი. სეითმა იცის თათრული და ფარსული. მე ვლაპარაკობდი რუსულათ, ბალაბეგა თათრულათ ელაპარაკებოდა სეითს და ის კი ფარსულათ მინისტრს. სარდარ ასადმა სენატის შესახებ თქვა: სენატი აუცილებელი საჭიროა სპარსეთისთვის, მეჯლისსა და მთავრობას უთანხმოება მოუვა ერთმანეთში და სენატი გაარჩევს საქმესო!.. შინაური სესხი დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, რადგან ხალხი და ფულიანი პირები ახალ მთავრობას ეჭვის თვალით უყურებენ. ჯერ ზოგიერთი სახელმწიფოების წყალობით ძნელია ფულის შოვნა საზღვარ გარეთ, მარა ჩვენ იმედი გვაქვს ვიშოვნით ფულს სხვა სახელმწიფოდან, ან სამკაულებითო... არდებილის არეულობის დროს ჩვენ ძლიერ გვგვიჭირდა ფულის შოვნა... ყველამ გზა შეგვიკრა ამ მხრივ და ძლივს დავაღწიეთ თავი სახელმწიფო „სკანდალსო“... წამოსვლისას შაგირ სეითი სარდარ ასადს დაშნაცაკანების პარტიის მოქმედებაზე მოელაპარაკა და აღნიშნა, რომ ისინი ცუდათ იქცევიან სპარსეთში და რომ, დროა მათ მოქმედების წინააღმდეგ საჭირო ზომა დროზე იქნას მიღებულიო!.. როგორც სჩანს, დამოკიდებულება მწვავდება...

არდებილი, სანჯანი და პროვინციები დაწყნარდა. ამ ხელათ რეაქცია დამარცხდა, მარა მზადება იწყება. ფულის შოვნა უჭირთ სპარსელებს და ამას ხელს უშლის გარეშე სახელმწიფოები. აღებმიცემობა წელ-მოწყვეტილია.

გლ. მგელაძე.

## ახალი ამბები

—

ნ. გოგოლის ძეგლის ასაგებათ პეტერბურგში ხელმწიფის მიერ ნება დართულია შემოწირულებათა შეკრება რუსეთის ყველა გუბერნიებში. ამის შესახებ ცნობა თფილისის გუბერნატორმაც მიიღო.

**წარმომადგენლობა საშუალო სასწავლებლებში.** თფილისის ქალაქის საბჭოს მაგალითის კავკასიის სხვა ქალაქებმაც მიბაძეს, რომ ადგილობრივ საშუალო სასწავლებლებში თავიანთი წარმომადგენლები ყოლოდათ პედაგოგიურ საბჭოში მონაწილეობის მისაღებათ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ეს შუამდგომლობანი ჯერ არ დაუმტკიცებია.

**ოსმალეთის მთავარი კონსული თფილისში.** უმართებულესმა სენატმა თფილისის გუბერნატორს აცნობა, რომ ხელმწიფის მიერ ნაბრძანებია, რომ ოსმალეთის მთავარ კონსულათ დაინიშნა თფილისში ჯაფერ-ბეგი.

**მოკლულის გამოცნობა.** ვანქის შესახვევში 20 ნოემბერს ერთი მოკლულთაგანი ქალაქ განჯის მცხოვრები ვაგაშე არიუტინოვი აღმოჩნდა.

**სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში დანიშნულია სხდომა მეურნეთა საზოგადოების საბჭოსა. რომელიც გაარჩევს საზოგადოების სხვა და სხვა საქმეებს.

**ავჭალის წყლის საყვანის ჯებირის** გასაკეთებლათ ქალაქის გამგეობამ გადასდო. 350 მანეთი.

**გაზეთის შეჩერება.** რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დღეს გაზ. „*Наш Край*“-ს მორიგი ნომერი არ გამოსულა.

**ბათუმიდან** გვატყობინებენ, რომ იქ 25 ნოემბერს მოხდა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზ. ბათუმის განყოფილების გამგეობის სხდომა. სხდომის საგანი იყო, სხვათა შორის, ბათუმის ქართულ სკოლაში მეოთხე მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე მასწ. ქალის მოწვევა. ხსენებულ ადგილს ოცამდის ქალი თხოულობდა. მთხოვნელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც საკმაო ცენზთან ერთად ოთხი-ხუთი წლის და მეტისაც პრაქტიკა ქონდათ მასწავლებლობისა. გამგეობამ, უფრო იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ხნის პრაქტიკა ქონდა, დაასახელა კანდიდატებათ სულ ხუთი ქალი: ქ.ქ. ბერეჟიანი, ჩხეიძე, მგელაძე, წუწუნავა და ლომინაძე. უკანასკნელს თუმცა არც პრაქტიკა ქონდა და სხვა მხრივაც არაფრით განირჩეოდა დანარჩენ მთხოვნელებისაგან, მარა ის იყო ხსენებულ სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობის კანდიდატი და მისს კანდიდატურას ამ მასწავლებლებთან ერთად მხარს უჭერდენ გამგეობის ზოგიერთი წევრებიც. გამგეობამ საჭიროთ დაინახა დასახელებულ კანდიდატებს შორის ეყარათ კენჭი. კენჭი ხვდა ხონის პროგიმნაზიის მასწავ. ქალს ქ-ნ ჩხეიძეს და ამნაირათ, მხოლოდ შემთხვევით ამ ადგილზე არჩეულ იქნა დასახელებულ კანდიდატებში ერთი უფრო ღირსეულთაგანი.

**ჩამოხრჩობა.** 30 ნოემბერს, დილის 5 საათზე ჩამოახრჩვეს გიორგი სისაური, რომელსაც 12 ნოემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით სასჯელი ქონდა გადაწყვეტილი 1905 წელს 4 დარაჯის მოკვლისათვის.

**თფ. ციხეების უფროსმა** რიმკევიჩმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რათა მან განკარგულება მოახდინოს, რომ თფილისის გუბერნიის ყველა ციხეებისთვის საჭირო ნივთები მეტეხის ციხეებში მზადდებოდეს, რადგან ხელოსანი-ტუსაღები ბევრია და სახელოსნოებშიც ოფიციალურათ მუშაობა 29 ნოემბრიდან დაიწყესო.

**ციხეების სახელოსნოებში.** როგორც თფილისის ციხეების უფროსის რიმკევიჩის ანგარიშიდან სჩანს, ამა წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე თფილისის ციხეების სახელოსნოებში შემოსულა სულ 16,259 მ. 69 კ., ამათგან ტუსაღების სამუშაო ქირაში მიუციათ 4,062 მ. 3 კ. დღიური საშვალო ქირა მეტეხის ხელოსან ტუსაღს, ციხის უფროსის გამოანგარიშებით, 55 კაპ. უწევს, საგუბერნიო ციხეში კი 63 კ. ამ ჟამათ თფილისის ციხეებს სხვადასხვა დაწესებულებებიდან 15,000 მ. ღირებული საქონელი აქვს დაკვეთილი დასამზადებლათ.

**ტერმინების შემუშავება.** სამეურნეო ჟურნალ „მოსავალის“ რედაქციაში შესდგა ქართველ მეცნიერთა და ლიტერატორებისაგან კომისია, რომელიც შეიმუშავებს და გამოსძებნის მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინებს, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მწერალთ სამეცნიერო სტატიის დაწერისა და თარგმნის დროს.

**რკინის გზა კავკასიის ქედზე.** რკინის გზების ამგები მთავარი ინჟინერი ვურცელი ცნობების კრებას შესდგომია იმის შესახებ, თუ რამდენი დაიხარჯება რუსეთში მიმავალ რკინის გზის გასაყვანათ კავკასიონის ქედზე.

**ხ. ვორონცოვის საზოგადოების სამმართველომ** (ბორჩ. მაზ.) თხოვნით მიმართა თფილისის სახაზინო პალატას, რათა ხსენებულ სამმართველოსთან დაწესდეს ვექსილების გაყიდვა, რადგან ხსენებულ საზოგადოებაში 100 სხვა და სხვა სამრეწველო სავაჭრო დაწესებულება არსებობს და ვექსილებ-მარკების მოთხოვნილება დიდიაო.

**კასპიისა და შავი ზღვის შემაერთებელი თხრილი.** ინჟენერებმა ს. ოშჩევსკი-კრუგლიკმა და ა. კასტერმა შუამდგომლობა აღძრეს გზათა სამინისტროს წინაშე, რათა სამინისტრომ ნება დართოს მათ, გამოკვლევა მოახდინონ კასპიისა და შავ-ზღვა შუა თხრილის გასაყვანათ.

**სასტატო სემინარია კავკავში.** სასტატო სემინარიის დაარსება კავკავში ჯერ-ჯერობით გვიანდება, რადგან სემინარიის პროექტი ჯერ არ დაუმტკიცებიათ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა თავის შენიშვნებით ეს პროექტი თერგის ოლქის უფროსს გაუგზავნა განსახილველათ, რომელმაც ამ დღეებში ისევ მზრუნველს დაუბრუნა ის და მალე ნამესტნიკს წარუდგენენ დასამტკიცებლათ.

**სესხის დამტკიცება.** თფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა მოკლე ვადიან 152,200 მ. სესხის შესახებ.

**ნორმალური დასვენება.** გუბერნატორის შეკითხვაზე ქალაქის გამგეობამ უპასუხა, რომ გამგეობა იმუშავებს და ახლო მომავალში დასამტკიცებლათ წარადგენს მას შემუშავებულ გეგმას სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებებში და კანტორებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

**წარმოდგენა სახალხო სახლში.** 4 დეკემბერს სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება თ. ა. სუმბათაშვილის პიესა „Старый Закал“. ამ წარმოდგენაზე ქალაქის თვითმართველობის მიერ მოპატიჟებული არიან. კავკასიის ნამესტნიკი, ვორონცოვ-დაშკოვი, მისი თანაშემწე შატილოვი, სენატორი ვატაცი, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, თფილისის გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი და სხ. წარჩინებულნი პირნი.

**ესპერანტო** 2 დეკემბერს სახალხო სახლში დანიშნული წარმოდგენა ესპერანტოს ენაზე 15 დეკემბრისათვის გადაიდო.

**ჟურნალი „ნაკადული“.** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ ნოემბრის მორიგი ნომერი შემდეგის შინაარსით: შემოდგომა—ლექსი ბ. გედასი; მამ, ჭკო, ჭკო! მოთხრობა ი. ევდოშვილისა; მწყერებმა აჯობეს! თამრაშვილისა და სხვა. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთათაა გამოცემული და შეიცავს 24 გვერდს.

**დილომის ხიდთან** დღით 30 ნოემბერს, თ. მუხრანის ბაღის მახლობლათ, საქართველოს სამხედრო გზაზე, იპოვეს გაგუდული (?) ჩაცმული მკვდარი, რომელსაც ძალით მკვლელობა არ ემჩნეოდა.

**ჩხრეკა და დაპატიმრება** 29 ნოემბერს ჩხრეკის დროს თფილისის სხვა და სხვა საპოლიციო უბნებში პოლიციამ დაიპატიმრა 70 უპასპორტო.

## ნატალია გაბ.-ცაგარლის 30 წლის იუბილეი.

საიუბილეო დღესასწაული დანიშნული იყო ქართულ თეატრში დღის 12 საათზე. ხალხი ბლომათ მოაწყდა ქართულ თეატრს მიუხედავათ იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო. მომწესრიგებელ კომისიას ყველაფერი რიგზე მოეწყო. სცენაზე რამდენიმე რიგათ ჩამწკრივებული იყო სკამები დეპუტაციებისათვის. სცენის სამხრეთ მხარეზე აღმართული იყო ესტრადა რამდენიმე ძვირფასი ხავერდით გადაკრული სკამით. ეს ადგილი დანიშნული იყო იუბილიარისთვის. ესტრადა შემკული იყო ყვავილებით და მცენარეებით. სცენის უკანა ნაწილი უკვე დაჭერილი ქონდა მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდს. ბ. ზ. პ. ფალიაშვილის თაოსნობით. პირველის ნახევარზე სცენაზე თავი მოიყარა დეპუტაციამ. თუთხმეტი წუთის შემდეგ სცენაზე ყველა სკამები დაჭერილი იყო და ახალ მოსულთათვის თავისუფალი ადგილიც აღარ იყო. ფარდა აიხადა და დეპუტაცია და დამსწრე საზოგადოება ერთი მეორეს პირის-პირ შეხვდენ. მათ ვერ მოასწრეს ერთი მეორეს დათვალიერება, რომ კულისებიდან ცხარეტაშის ხმა მოისმა, მას გამოეხმაურა სცენა, სცენას—დამსწრე საზოგადოება. სცენაზე გამოჩნდა იუბილიარი საპატიო პირთა თანხლებით. იუბილიარის დანახვაზე საზოგადოების აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, აპლოდისმენტებს დასასრული აღარ ქონდა. იუბილიარმა მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას და ესტრადაზე მისთვის გამზადებული ადგილი დაიჭირა. მის მარჯვნივ-მარცხნივ ადგილები დაიჭირეს ქ.ქ. ჩერქეზიშვილმა და საფაროვ-აბაშიძისამ. ესტრადის გარშემო ჩამწკრივდენ დრამატიული დასის მსახიობები და მოისმა ორკესტრის ხმა, მას თან მოყვა მომღერალთა მწყობრი „მრავალ-ჟამიერ“ იუბილიარის პატივსაცემათ. დაიწყო მილოცვა. იუბილიარს პირველათ თავ. ორბელიანის ქალი ულოცავს. ის მოკლეთ აღნიშნავს იუბილიარის დაუღალავ მოღვაწეობას და უსურვებს მომავალშიაც განაგრძოს ნაყოფიერი შრომა. შემდეგ მისალოც ადრესს კითხულობს ქ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის დეპუტაცია. მოკლე მგრძნობიერ ლექსს კითხულობს თ. ერისთავი. ყველა მიმლოცველს საზოგადოება ტაშის ცემით აჯილდოვებს. საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია ქალაქის თავის მოადგილეს ა. ი. ხატისოვის აღგზნებულმა სიტყვამ.

დეპუტაციები იყო შემდეგ დაწესებულებათაგან: 1) ქართველ თავად-აზნაურთაგან, 2) ქალაქის თვითმართველობისაგან 3) თფილისის არტისტიული საზოგადოებიდან, 4) თფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისაგან, 5) ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგად. 6) რუსულ დრამატიული წრისაგან 7) ქართულ სათავად. აზნაურო გიმნაზიისაგან 8) თფ. ქალთა უმაღლეს კურსებიდან 9) სომეხთა დრამატიული საზოგად. 10) სომეხთა არტისტიული ჯგუფისაგან 11) „ჯეჯილის“ რედაქციისაგან 12) „მომავლის“ რედაქციისაგან 13) „ზაქათალის“ რედაქციისაგან 14) „ტარაზის“ რედაქციისაგან 15) „თფილისის ფურცლის“ რედაქ. 16 „მშაკის“ რედ. 17) ზუბალაშვილების სახალხო სახლის. 18) სომეხ სცენის მოყვარეთა წრისაგან. 19) სახალხო უნივერსიტეტის ქართ. თეატრ. სექციისაგან. 20) ავლაბრის აუდიტორიისაგან 21) ქართულ საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან 22) თფილ. ქართ. ფილარმონიულ საზოგადოებისაგან 23) სამუსიკო მოღვაწეთა საზოგად. კომიტეტისაგან 24) თფ. სახალხო გასართობების მომწყობ საზოგადოებ. 25) სახაზინო თეატრის საოპერო ამხანაგობისაგან 26) ქართ. სიტყვა-კაზმული მწერლობის საზ. 27) ჟურნალ „ნაკადულისაგან“ 28) „თეატრი და ხელოვნების“ რედაქციისაგან 29) სახალხო სახლში წარმ. მმართველი წრისაგან 30) კომერციული ცოდნის გამავრცელებელი თფ. საზოგ. 31) ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლ 32) კავკასიელ ქალთა საზოგადოებისაგან, 33) თფ. ქართულ სკოლების სექციისაგან 34) ქუთაისის ქართველ ქალთა წრისაგან, 35) ქიათურის დრამატიული დასის საზოგადოებისაგან, 36) ქალაქ გორის საზოგადოებისაგან, 37) ფოთის საზოგადოებისაგან 38) სოხუმის ქართველ-მეგრელთაგან, 39) სენაკის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგად. განყოფილებისაგან 40) ქ. კავკავის საზოგადოებ. 41) ვერის სახალხო აუდიტორიისაგან 42) თფილ. წვრილ ვაჭართაგან 43) „პოლონელთა სახლის“ საზოგადოებისაგან 44) თფ. ქართ. მეჩექმეთაგან 45) თფ. მეთარღეთაგან და სხვა. პირადათ მიულოცეს ბ. ვ. სარაჯიშვილმა და პიანისტმა ტერ-დავითიანმა. იუბილიარი ყველას გულითად მადლობას უძღვნიდა. მილოცვების შემდეგ შეუდგენ დეპეშების კითხვას. დეპეშები იყო: 1) პ. ი. თუმანიშვილისაგან, რომელიც იუბილიარის დღესასწაულის აღსარიშნავათ ორ პრემიას ნიშნავს 200—100 მან., ვინც ერთი წლის განმავლობაში დრამატიულ ორ ან ერთმოქმედებიან პიესას დასწერს, 2) იუჟინისაგან (სუმბათაშვილი), 3) ლადო მესხიევისაგან 4) ეფემია მესხისაგან, 5) ოზურგეთიდან 7) ქუთ. დრამ. დასისაგან და სხვა. დეპეშების კითხვის შემდეგ იუბილიარმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან სთქვა: „აღელვებულ გრძნობაგონებას ენა არ ემორჩილება. გმადლობთ, უზომოთ გმადლობთ პატივისცემისათვის. თუ რაიმე ძალი შემწევს, მე სიცოცხლეს შევალევ იმ თეატრს, რომელმაც უბრალო მუშაკს ხალხის სიყვარული დამამსახურებია». საზოგ. ოვაციით გააცილა იუბილიარი. ამით დასრულდა დილის დღესასწაული.

—

საღამოს 8 საათზე დაიწყო სადღესასწაულო წარმოდგენა. თეატრის დარბაზი ხალხით გაიჭედა, არსად ფეხზე დასადგომი ალაგიც კი არ იყო. ითამაშეს თითო მოქმედება „ორი ობოლი“, „ხანუმა“ და «დაქცეული ოჯახი»-დან. სამივე მოქმედება საუცხოვოთ ჩაატარეს არტისტებმა და საზოგადოება ფრიად ასიამოვნეს. თვით იუბილიარი ნატო, ამ საღამოს ისეთივე მომხიბლველი იყო, როგორც ყოველთვის. „დაქცეული ოჯახის“ შემდეგ მსახიობებმა მიულოცეს იუბილიარს, გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა მ. საფაროვ-აბაშიძისამ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, როცა იუბილიართან სცენაზე გამოვიდა 80 წ. მოხუცი გ. სუნდუკიანცი, „დაქცეული ოჯახის» ავტორი. ის მოკლე სიტყვით მიესალმა იუბილიარს. ქართული სცენის არტისტების სახელით ადრესი წაიკითხა არტ. კ. ყიფიანმა და [illegible] მიართვეს. მოკლე მხიარული სიტყვით მიესალმა არტ. კ. მესხი.

დასასრულ გაიმართა აპოთეოზი. მამაყურებელთ თვალ-წინ წარმოუდგათ თვით იუბილიარი და მის გვერდით მის მიერ ხორც-შესხმული ტიპები. ყველას ეგონა, რომ მართლა ნატო იდგა სცენაზე. როცა ის ლოჟაში გამოჩნდა, ხალხი მქუხარე ტაშის-ცემით შეხვდა მას. საერთოთ ეს დიდებული დღესასწაული საუცხოვოთ გათავდა და საზოგადოებაც ფრიად ნასიამოვნები დაიშალა.

—

ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა:

**ოზურგეთი**. ვულოცავთ იუბილიარ ნატოს 30 წლის ქართულ სცენაზე დაუღალავ მოღვაწეობას. ვუსურვებთ დღეგრძელობას.

დომენტი თალაკვაძე, განო ქარცივაძე, ვ. დოლიძე, ხურციძე, სიმ. ცხომელიძე, თეოფ. გოგიტიძე, მ. თალაკვაძე, სტანისლავ კალატოზიშვილი, გრ. ჩიჩუა, ანნა მგელაძე, ინ. წკირველი, ტ. აბაშიძე, ჩხაიძე, ხუბუა, დემუროვი, მიქატაძე, აბაშმაძე, მუცუც ჯაყელი, სიმონ ჩახიშვილი, შოთაძე.

## კიდევ დრამა-ფულის შესახებ.

(წერილი გურიიდან)

1909 წელი დიდხანს არ ამოიშლება გურიის გლეხკაცობის მეხსიერებიდან. გასული წლების გადასახადებმა, „შტრაფებმა“ და რეპრესიებმა, რომლებიც გამოიხატებოდა „ეგზეკუციებში“, დატუსვება-გადასახლებაში და სხვა ამგვარებში, წელში გასტეხეს გლეხკაცობა. შეამჩნიეს თუ არა ეს ყველამ იერიში მიიტანა მასზე: ცუდიანი და უცოდო ყველა მას დაესია: მემამულეებმა მიწის დალა 3-დან 6—7 მანეთამდის ასწიეს, მღვდლებმა 6 წლის (1904—1909) დრამა ფული მოითხოვეს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კი მათი წინამძღვილების: ერმოლოვის, მიქიაშვილის, და სხ. ერთხელ უკვე მოგროვებულ და გაფლანგულ ფულს ხელმეორეთ დაუწყეს მოგროვება. პირველ ორ შემთხვევაში მხოლოდ გლეხკაცობა იჩულიტება, მესამეში თვით აზნაურობასაც ჩაავლეს ბრჭყალები.

მემამულეებს გლეხობამ გაფიცვით უპასუხა. დრამა-ფულის შესახებ 19 საზოგადოების მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა, რიცხვით 53 კაცმა, გუბერნატორს თხოვნა მიართვეს; ხელმეორეთ გადასახადების შესახებ ხალხმა მართან ბ. გუბერნატორს, მისი გურიაში მოგზაურობის დროს, სიტყვიერი საჩივარი განუცხადა და დახმარება სთხოვა. სამწუხაროთ, არც ერთ ზემოთყვანილ შემთხვევაში ხალხს ბედმა არ გაუღიმა. სამაგიეროთ ამ მდგომარეობამ გლეხკაცობას ყურებიდან ბამბა გამოაღებინა და კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ვითომ მოკეთეები «ნანინას»-ს კილოზე მას „სულთათანა“-ს უგალობენ.

ალაგ-ალაგ მღვდლების *) მოქმ. უნდოდათ ბოიკოტით ეპასუხათ, მაგრამ რადგანაც მას დღევანდელ პირობებში არ მოჰყვებოდა სასურველი შედეგები, ამიტომ მათ (გლეხებმა) პირი იბრუნეს და ბ. გუბერნატორს რწმუნებულების საშუალებით თხოვნა მიართვეს. აი მოკლეთ მისი შინაარსი:

— ამ ხანათ გურიაში პოლიცია ენერგიულათ აგროვებს მცხოვრებთაგან დრამა-ფულს, როგორც 1909 წლისას, ისე გასული 4—5 წლისას. ფულის გადახდევინება ხდება ისეთ განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც საჭიროა აღნიშნულ იქნას... აქ მოყვანილია ბოქაულების (ამ შემთხვევაში ჩოხატაურის) სასტიკი მოწერილობების შინაარსი... რომ სისასტიკეს ვერ გაამართლებს საქმის მდგომარეობა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ თითონ გურიის სამღვდელოებამ ერთხმათ გამოსთქვა თავის კრებაზე, რომ დრამის გადახდევინებაში არ ჩაერიოს პოლიცია, რის შესახებ გურია-სამ. ეპისკოპოსს კიდეც მიუწერია გენ.-გუბერნატორისათვის 1908 წლის 13 მარტის თარიღით.

კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი აქვს დრამის იძულებითი გადახდევინებას კანონის თვალთახედვის ისრით და მისი ისტორიული წარმოშობით. არსებითად დრამას აქვს სხვა გადასახადების ყველა თვისებები, მხოლოდ ის არავითარი კანონებით არ არის შემოღებული.

რადგანაც სამოცდა ათ წლებში ხაზინამ

*) საჭიროა ითქვას, ზოგი მღვდლები წინააღმდეგი იყვენ ამ დრამა-ფულის აღების. კრ.

ეკლესიებს ჩამოართვა ქონება, სამღვდელოების უზრუნველსაყოფად, თვით ხალხმა დააწესა დრამა სასოფლო განაჩენებით, მარა ეს ისტორიული მიზეზები დღეს აღარ არსებობენ, რადგანაც მღვდლები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მას, რომ იმათ ყოველგვარ მღვდელ-მოქმედებაში ცალკე გასამრჯელო მიაქვთ, ხაზინიდან იღებენ ჯამაგირებს: გურიაში სულ 130 კრებულია, აქედან 108 კრებული იღებს 400—525 მანეთს, 22 კრებული 120—200 მანეთამდის, მარა ეს უკანასკნელებიც ახლო მომავალში გაუთანასწორდებიან პირველებს. აქ აღნუსხულია როგორი სიმძიმით აწევს დრამა-ფულის გადასახადი გლეხობას კისერში, როგორი კრიზისია სოფლათ და რას გამოიწვევს ეს გადასახადი ქონებრივი და ზნეობის მხრით...

ზემოხსენებულის თანახმათ, რადგანაც დრამის გადასახადი, რომელიც დაწესებულია მრევლის ცალმხრივი ნება-სურვილით, შესაძლებელია მოსპობილ იქნას იმავე საშუალებით, რწმუნებულები საზოგადოების სახელით შუამდგომლობენ, რომ მათ ნება მიეცეთ განიხილონ ურილობებზე—რამდენათ დრამა ფულის დატოვება საჭიროა კანონის მიხედვით და გამოწვეულია აუცილებლობით. ახალი განაჩენების გამოტანამდის კი, რწმუნებულები თხოულობენ შეჩერებულ იქნას დრამა ფულის მოკრეფა პოლიციური ზომებით

კითხვის სასურველათ გადაწყვეტის მოლოდინში სოფლებს ესტუმრენ ურიადნიკები დარაჯებით და გამოუცხადეს ხალხს: „ჩქარა, ჩქარა წარმოადგინეთ დრამის ფულები, მანამ კი თქვენი ხარჯით უნდა დავრჩეთ“-ო და მათრახებიც შეათამაშეს. აწრიალდა სოფელი. ერთი აქით გარბის, მეორე იქით. საზარელი სურათია...

„ეხ! სული და გული მომეწამლა, რას არ ნახავს უბედური ადამიანი?—სთქვა ერთმა ფულის ამკრებთაგანმა,—გამიგდეს წინ დარაჯებმა... ერთ ქოხს მივადექით: პასუხათ მოგვესმა:—ქმარი შინ არ არის, მე ავათ ვარ, ფული არ გვაქვს, გვადროვეთ... დარაჯმა მიიხედ-მოიხედა, შორი ახლო მეწველე თხა დაინახა და იმას მოჰკიდა ხელი. ქალმა ტირილით მოგვმართა:—იწამეთ ღმერთი—მე ერთი თვეა ავათ ვარ, ძუძუ გამშრალი მაქვს ეს თხა ჩემს მაგიერობას უწევს ჩემს პაწია შვილს, ნუ დამღუპავთო»-ო.

კრეპკიძე.

(დასასრული იქნება)

# პროვინცია

**ლანჩხუთის რაიონი** (გურია). „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწია“ რომ იტყვიან, სწორეთ საზოგადოთ გურულებზე და კერძოთ კი ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებლებზე ითქმის. ეხლა ეიდევ ხელმეორეთ ახდევინებენ 1906 და 1907 წლებში მიქიაშვილის მიერ აკრეფილ და გაფლანგულ გადასახადებს. პირველათ პირდებოდნენ, რომ ვიშუამდგომლებთ და მთავრობა თავის თავზე მიიღებს ბოქაულის მიერ გაფლანგულ ფულებსო, რაც სხვათა შორის, თვითონ გუბერნატორმა აღუთქვა ლანჩხუთში ყოფნის დროს, მაგრამ ეს დაპირება დაპირებათ დარჩა და ეხლა ყოველივე ღონეს ღონობენ უკვე გადახდილი გადასახადები ხელახლათ გადაახდევინონ. ყურადღების ღირსია ისიც, რომ ზოგიერთ ოჯახს ასი მანეთი ხდება გადასახადი და თუ რამდენათ საძნელო იქნება ამოდენა თანხის გადახდა, ადვილი წარმოსადგენია. ადგილობრივმა ბოქაულმა ამოირჩია ყოველ კუთხიდან 10—15 ახალგაზდა, მისცა მათ განუსაზღვრელი უფლება და დაავალა, რომ ყოველივე ღონე იღონონ და აკრიფონ თავთავიანთ კუთხეში გადასახადი და თუ ფულით ვერ დააკმაყოფილებენ, წაართვან სხვადასხვა ოჯახის ავეჯეულობა, აგრეთვე სხვა შინაური პირუტყვები. და აი ეს ახალმოდის «ზეკუცია», როგორც უწოდებენ მათ ხალხში, ისეთი ხალისით დარბიან სახლიდან-სახლში და ცდილობენ „ყურადღება დაიმსახურონ“, რომ ბეგონებათ დიდ სასიქადულო საქმეს აკეთებენო. როგორც ხედავთ, უბედურება ყოველ მხრიდან არის დახსნა კი არსაიდან. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ყოველივე კანონიერ თხოვნას და მუხლმოდრეკილ ვედრებას დიდ წინააღმდეგობათ თვლიან. ამას წინათ ბოქაულმა კინაღამ გაამათრახა რამოდენიმე პირი მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ მოინდომეს ეთხოვათ გუბერნატორისათვის გადასახადების განაწილება.

ამ დღეებში ვიღაცეებმა დაუშინეს ს. ნიგოითში ადგილობრივი სტრაჟნიკი ჩიტაია, რის გამოც მოვიდა მაზრის უფროსი და მოითხოვა რამდენიმე პირის დაჭერა და მიყვანა. ამ პირებს დიდი ხანია დაქებს პოლიცია, მაგრამ ვერ უნახავს და ეხლა შემთხვევა მიეცა საზოგადოებას მოსთხოვონ მათი დაჭერა თითქმის განგებაო, ამ უკანასკნელ ხანებში ყოველივე უკუღმა შებრუნდა. თუ წინაზე დიდი ხალისით ეკიდებოდნენ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს, დღეს ეს შესცვალა დვინო-არდანმა და კარტ-ნარდმა. სამკითხველოები ყოველგან მიკეტილია და თუ სადმე აიღეს ხელახლა ნებართვა, ისიც ამაოდ, რადგანაც უსახსრობის გამო მაინც დაკეტილია. მაგალითად, ისეთ დაბაში, როგორიც ლანჩხუთია ერთ გაზეთსაც ვერ იშოვნით მიუხედავათ იმისა, რომ აქ ბლომათ არის მოინტელიგენტო ხალხი. ასეთია მოკლეთ ლანჩხუთის რაიონის მდგომარეობა და ვგონებ, არც გურიის სხვა კუთხეები უნდა იყოს უკეთეს მდგომარეობაში.

გიტო.

—

**სოფ. ახუთი** (ზუგდიდის მაზრა). წელიწადზე მეტია, რაც ს. ახუთში უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსებობს. ჩვენდა საუბედუროთ ისეთ კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის სამკითხველო, თანამგრძნობნი ნაკლებათ აღმოუჩნდა ჩვენში. ჩვენი სოფლის ინტელიგენცია გულგრილათ უყურებს ასეთ საქმეს და არავითარ ინიციატივას არ იჩენს. თუმცა სამკითხველოს კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც მოდის ქართულ-რუსული ადგილობრივი და სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ წამკითხველი არავინ არის. ჩვენი ინტელიგენცია, ახლოს არ ეკარება სამკითხველოს შენობას. ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ინტელიგენციამ სოფლათ. გაუნათლებელი ხალხი მათგან დებულობს მაგალითს და თუ ისინი რომ ზურგს შეაქცევენ კულტურულ დაწესებულებას, ხალხი სულ ზედაც აღარ შეხედავს. საჭიროა ახუთის ინტელიგენციამ დააღწიოს თავი სადათას ძილს და შეუდგეს საზოგადო საქმეს.

უჩინარი.

—

**სურები** (გურია). აქაური გლეხ. ძლიერ დაცემული იქნებოდა ეკონომიურათ, რომ ერთი რამ არ უწყობდეს ხელს. სურებს აღმოსავლეთიდან აკრავს დიდი ტყე. რამოდენიმე ნაწილი ამ ტყის, სხვათა შორის, 1903—4 წლებში იყიდა ინგლისელ კაპიტალისტმა ელიოტმა. დაიწყო ექსპლოატაცია ტყის, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. დაიწყო თუ არა, მოძრაობა, ზემოხსენებულმა კაპიტალისტმა მიატოვა წარმოება და სამშობლოში გაიქცა. აი ამ ტყეებით სარგებლობს აქაური გლეხობა. ხდიან ყავარს და ყიდიან სხვადასხვა კუთხეებში. მთელი კვირაობით ტყეში არიან და ამზადებენ ყავარს და მიაქვთ ცხენებით დ. ჩოხატაურში.

სწავლა-განათლების მხრივ სურები მოწინავე საზოგადოებათ ითვლება და ღირსიც არის ამ სახელწოდების. ამ პატარა საზოგადოებაში სამი ორ-კლასიანი სასწავლებელი არსებობს მათგან ერთი სამინისტრო, ხოლო. ორი სამრევლო. სამივე სასწავლებლებში სწავლობს 500-მდე ბავშვი. მასწავლებლები რვაა, მათში არიან საშუალო განათლებითაც. ამას გარდა სურებში სხვა კულტურული დაწესებულებებიც არის: საზოგადო სასოფლო საწვრილმანო დუქანი, შემნახველ-გამსესხებელი კასსა და სხვათა შორის, საფერშლო პუნქტიც, სადაც უფასოთ წამლობა, ფერშალი მთავრობიდან დებულობს ჯამაგირს და მუდმივ აქ იმყოფება.

არ ქონდათ მხოლოდ სამკითხველო, მაგრამ ამ დღეებში აძრეს შუამდგომლობა სადაც ჯერ არს სამკითხველოს დაარსების შესახებ. დაბოლოს არ შემიძლია არ აღვნიშნო ადგილობრივ ინტელიგენტების უმრავლესობის ინდიფერენტიზმი ჟურნალ-გაზეთებისადმი. უწინ ბლომათ იყო გამოწერილი გაზეთი და ეხლა, მგონი, სამი თუ ოთხი ეგზემპლიარია. სხვათა შორის ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, უნდა იყოს ის, რომ გაზეთების სისტემატიურათ მიღება ძნელდება—კვირაში ან სულ ვერ მიიღებ, ან და ორჯერ, ან სამჯერ. ამ უხერხულობის თავიდან ასაცდენათ კარგი იქნებოდა დაარსება მუდმივი ფოსტისა ჩოხატაურიდან სურებამდე. სასურველი იქნება თუ ამის სისრულეში მოყვანის ინიციატივას მიიღებს შემნახველ-გამსესხებელი კასსა, რომლის სათავეში ინტელიგენტები დგანან.

ა. ნატალიაშვილი.

—

**ს. სუხჩე** (სამეგრელო). ჩვენ სოფელში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. სოფელ სუხჩეში ას კომლამდე გლეხი ცხოვრობს, მაგრამ ერთი სკოლის დაარსება ვერ მოუხერხებიათ. თუმცა შარშან ზაფხულში კითხვა აღიძრა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის დაარსების შესახებ და კომისიაც აირჩიეს, მაგრამ კომისია-კომისიათ დარჩა და საზოგადოება კი სკოლას ვერ ეღირსა. მას შემდეგ აგერ წელიწადზე მეტი გადის, მაგრამ საქმის ხელახლა განახლებაზე არავინ იღებს ხმას.

სკოლა, მომხმარებელი საზოგადოება, ბიბლიოთეკა-სამკითხველო არც ჩვენ საზოგადოებას აწყენდა და პირიქით, სულზე მისწრება იქნებოდა, მაგრამ სად არის ისეთი კაცი, რომ ეს ითაოს. თუმცა აქ ინტელიგენტური ძალები ნაკლებია, მაგრამ ვინც არის, ისინიც გაურბის საზოგადო საქმეს.

ყველა ამასთან, მოსავლის მხრითაც ჩვენი სოფელი ცუდ პირობებშია ჩაყენებული, მიწები მწირია და მოსავალი ნაკლებათ მოდის. მცხოვრებთა უმრავლესობა ნაყიდი სიმინდით იკვებება. შარშანდელთან შედარებით წელს ძალიან ნაკლებია მოსავალი. ასე რომ, ამ გაზაფხულზე მცხოვრებლების დიდ უმრავლესობას სარჩო საყიდელი ექნება. წინათ ღვინით ცოტა წელ-გამართული იყო ჩვენი გლეხი, მაგრამ წრეულს ამ მხრითაც უნუგეშოთ არის დარჩენილი. ღვინის მოსავალი სრულებით არ არის. ხანგრძლივი გვალვების შემდეგ, როგორც იყო, გვეღირსა წვიმა. აქნობამდე უწყლობით დიდ გაჭირვებას განვიცდიდით—გვალვებისაგან წყლები სრულებით დაშრა. სასმელი წყლის შოვნა ძნელი იყო, წისქვილის წყალზე დაპარაკი ხომ მეტია. წისქვილზე საფქვავის წაღება 10—12 ვერსის მანძილზე უხდებოდათ და იმასაც შუაზე გვიყოფდნენ. მეწისქვილეებმა დრო გიმოვეს.

— 10 ნოემბერს ს. გორდის მცხოვრებლებს გელენიძეს და კირთაძეს ჩხუბი მოუვიდათ. უკანასკნელმა გელენიძე იქვე მოკლა. კირთაძე დაპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს.

ჭანელი.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ვერის სახალხო აუდიტორია.** შაბათს, 28 ნოემბერს წარმოადგინეს ბეიერლეინის პიესა „სამხედრო ბანაკში“. წარმოდგენა საერთოდ კარგათ ჩატარდა. კარგათ შესრულდა კლარის როლი ქ-ნ ტ. საგინაშვილმა. მის თამაშში იყო ბუნებრივობაც, დაფიქრებაც, მხოლოდ არ ვიცით, რა საჭირო იყო რიჟა პარიკი. ბ. რომანიშვილი კვაისის როლში საუცხოვო იყო. თვით წვრილმანებიც არ დაეტოვებია მას უყურადღებოთ და ამიტომ კვაისის ტიპი გამოვიდა სავსებით დახატული. ბ. ჭანკვეტაძემ სერჟანტ გუდბიგის როლი საერთოთ რიგიანათ ჩაატარა, თუმცა ზოგიერთ ადგილებში მეტათ ნაძალადეობა, არა ბუნებრიობა ეტყობოდა. ასეთი იყო, მაგ., ის ადგილები, სადაც გაჭირვებით, ტანჯვით უნდა გამოეთქვა რამე. საჭიროა ბ. ჭანკვეტაძემ ყურადღება მიაქციოს სიტყვის გამოთქმას და ხმის ამაღლებას. კარგი იყო ფონ-ლაუფენის როლში ბ-ნი მეტრეველი. კარგი მიხალკე იქნებოდა ბ-ნი ანაშვილიც, ცოტა რომ არ გადაეჭარბებია. სუსტობდა ბ-ნი ლეხურელი ვახმისტრ ფოლოკგარდტის როლში, მოველოდით მისგან მეტს. ყოველ შემთხვევაში, როლის ცოდნას მაინც! დანარჩენები პიესის საერთო მსვლელობას ხელს უწყობდნენ.

სახლი შედარებით ნაკლები დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა გამართება შაბათს, 5 დეკემბერს. წარმოდგენილი იქნება პიესის 30 წლის შესრულების მოსაგონებლათ: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

№ 2.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**საარჩევნო მზადება ინგლისში.**

პარლამენტის დათხოვნისა თანავე ინგლისში დაიწყო საარჩევნო სამზადისი, წინასწარი აგიტაცია. მთელს ერთ თვეს გაგრძელდება საარჩევნო კამპანია ინგლისში; ამ ხნის განმავლობაში აუარებელი მიტინგები, კრებები და დემონსტრაციები მოხდება. ჩვეულებისამებრ, თითქმის ყოველ დღე ილაპარაკებენ მინისტრები სახალხო კრებებზე, აგიტატორთა რიცხვი ხომ უთვალავი იქნება. არჩევნები 13 იანვარს დაიწყება (ჩვენებურათ 30 დეკემბერს). არჩევნები ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებში მოხდება სხვა და სხვა დღეებში. პირველი წინასწარი საარჩევნო კრება მოხდა ლიბერალთა ნაციონალურ კლუბში, სადაც მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა ილაპარაკა. მისი ლოზუნგი ორი სიტყვით გამოიხატება: „ლორდების—წინააღმდეგ“. მან სთქვა: მე იმიტომ კი არ მოვსულვარ, რომ „დასამარხავი“ სიტყვა წარმოვსთქვა. თუ ეხლა ბიუჯეტი დასამარებულია, იმედია ადრე აღსდგება. ჩვენ გვწამს, რომ ხალხი ლორდებზე თავის განაჩენს გამოიტანს. არა მგონია ინგლისელებმა უბრძოლველათ დასთმონ წინაპართა მიერ ნაანდერძევი თავისუფლება, უარ-ყონ ნაციის ზრდა-განვითარება და დაემორჩილონ უპირატესობის მქონე ლორდებს. ლორდების მოქმედებას ის სასტიკათ შეეხო, რითაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კონსერვატორებში. დასასრულ მან განაცხადა, რომ მე ერთ წუთსაც არ დავრჩები ლიბერალური სამინისტროს წევრათ დარწმუნებული რომ არ ვიყო იმაში, რომ კაბინეტი არჩევნების შემდეგ იმ პირობით დარჩება მთავრობასთან, თუ მას (კაბინეტს) უფლება მიეცემა ლორდების უფლების შეკვეცისაო. ერთ-ერთ მიტინგზე ასეთივე განცხადება შეიტანა მინისტრმა ჩერჩილმა. ასეთი განცხადება იმის მომასწავებელია, რომ მთავრობას წინ და წინ მიუღია მეფის თანხმობა—თუ ვინიცობაა არჩევნებში ლიბერალებმა გაიმარჯვეს, პირდაპირ დანიშნონ იმდენი ლიბერალი ლორდები, რომ უზრუნველყონ ლორდთა პალატის უფლებების შეკვეცის საკითხი. ნაციონალ-დემოკრატიული ლიგის გამართულ მიტინგს ლონდონში აუარებელი ხალხი დაესწრო. დეპუტატებმა სასტიკად გაჰკიცხეს ლორდები. თითქმის ყველა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამ ჟამათ ბრძოლა პარტიული პროგრამების, თავისუფალი ვაჭრობის, გინდ ბიუჯეტის გარშემო კი არ სწარმოებს, არამედ—ხალხმა უნდა დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლება ლორდების თავდასხმისაგან. ამ ჟამათ თუ ასე მოიქცევა ხალხი, შემდეგ შეუძლია მას როგორც უნდა ისე მოიქცეს—შეაწეროს დიდი გადასახადები მდიდრებს და სხ. ორატორების სიტყვებს ხალხი ტაშის ცემით ეგებებოდა. მუშათა პარტიის კომიტეტმა დაადგინა ურჩიოს ადგილობრივ ორგანიზაციებს: იმ ოლქებში, სადაც მოსალოდნელია პროგრესიულ ამრჩევლების ხმების გაყოფა, საკუთარი კანდიდატი არ წამოაყენონ, ვინაიდან ხმების ასეთი დანაწილება გამარჯვებას კონსერვატორებს მიანიჭებს, რაც დიდი საზარალო იქნებაო.

არა პირდაპირი გადასახადთა აკრების შესახებ უმთავრესმა სამმართველომ განაცხადა, რომ ვინაიდან ბეუჯეტის უარყოფის შემდეგ ჩვენ უფლება არა გვაქვს მაგარ სასმელებზე და თუთუნზე მომატებული გადასახადი ავკრიბოთ და ჩაიზე და ბენზინზე ახალიო, უფლებას ვაძლევთ ხსენებულ წარმოების პატრონთ როგორც სურთ ისე მოიქცენ, მარა, თუ მომავალში პარლამენტმა ეს გადასახადები დაამტკიცა, ვინც ეხლა არ გადაიხდის, შემდეგში ერთად შეხვდება გადიხდაო. ჩაით მოვაჭრეებმა გაუხდის სურვილი განაცხადეს. თუთუნით და მაგარი სასმელებით მოვაჭრეებიც დათანხმდენ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან გადასახადის მომატების. ისინი ამბობენ: თუ ეხლა მომატებული გადასახადი არ გადავიხადეთ, მყიდველნი ძალას დაგვატანენ ფასის დაკლების შესახებ და შემდეგ, ვინიცობაა, ბიუჯეტი დაამტკიცეს, გადასახადს მაინც გადაგვახდევინებენ და ამ რიგათ ბევრს ვიზარალებთო.

— სათემო პალატა არჩეული იყო 7 წლით, მარა მან 4 წლის მეტი ვერ „გასძლო“. ჩვენის აზრით, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, რამდენიმე სიტყვით მაინც თუ რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში სათემო პალატამ. პალატის საკანონმდებლო მოღვაწეობაში პირველი ადგილი მოხუცთა პენსიას უჭირავს. ხსენებული კანონის ძალით ინგლისმა ვალდებულათ გაიხადა თავი მოხუცებულთა დაჯილდოვების შესახებ. ამ ჟამათ ნახევარ მილიონზე მეტი მოხუცებული იღებს ყოველწლიურათ პენსიას სახელმწიფოსაგან; მეორე კანონი შეეხება გლეხთა წვრილი მეურნეობის განვითარებას. ადგილობრივ თვითმართველობებს უფლება ეძლევათ, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩამოართვან დიდ მემამულეთ, თუ გინდ იძულებით, საჭირო მიწა და იჯარით გლეხებს გადისცენ. ეს კანონი მეორე წელიწადია, რაც არსებობს. პირველ წელიწადს ხსენებული კანონის ძალით 21,417 აკრი (აკრი ჩვენებურათ ერთ ქცევას, 900 ოთხკუთხ საჟენს, უდრის) მამული გადაეცა გლეხებს. ამაზე ნაკლებ საყურადღებო არ არის ირლანდიის აგრარული რეფორმა, რომლითაც აღიარებულია მემამულეთაგან მიწების იძულებით ჩამორთმევის პრინციპი უმამულო გლეხებზე გადასაცემათ. ხსენებული რეფორმის წინ, 1907 წ., დაადგინეს, რათა მემამულეთა სურვილის წინააღმდეგ თავიანთ ძველ საიჯარო მიწებზე დაბრუნებულიყვნენ ყველა ის ირლანდიელნი, რამდენიმე ათასი მოსახლე, რომლებიც ლორდებმა მე-80 წლებში თავიანთ მამულებიდან გააძევეს. პალატას არც მუშათა საკითხი დაუტოვებია უყურადღებოთ. მოსპეს კანონი ტრედ-უნიონების მიერ ქონებრივი პასუხის-მგებლობის შესახებ, თუ ვინიცობაა გაფიცვის დროს მეწარმოებელს ზარალი მიადგებოდა, დააწესეს 8 საათის სამუშაო დრო ქვა-ნახშირის მაღაროებში, დაწესებულ იქნა სამრეწველო კამერები, რომლებმაც თვალ-ყური უნდა ადევნონ, რათა დამქირავებლებმა ზედმეტი არ ამუშაონ მუშები და არ გაუყვლიფონ ზოგიერთ, განსაკუთრებით შინაურ წარმოებაში, მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც მთელს ინგლისში უნდა დაარსებულ იქნას სახელმწიფო შრომის ბირჟები, რომელთა მოვალეობა იქნება უმუშევართათვის სამუშაოს მოძებნა და მომავალში ამ ბირჟებიდან უნდა შეიქნას ისეთი ორგანიზაციის საფუძველი, რომელიც უმუშევრობისაგან მუშათა დაზღვევაზე იზრუნებს. მიენიჭა აგრეთვე ქალებს უფლება მამაკაცებთან ერთათ არჩეულ იქნან მუნიციპალურ საბჭოებში, ირლანდიაში გაიხსნა ორი ნაციონალური უნივერსიტეტი, დაკონდა ბინების და ქალაქების გასუფთავება, ისე, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანი არ მოქონდეთ; პალატა შეეხო აგრეთვე კოლონიალურ საკითხს. მიეცა ავტონომია ამას წინეთ დაპყრობილ ბურებს და მიიღეს ინდოეთის რეფორმის კანონ-პროექტი, რომლითაც ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებები გაფართოვებულ იქნა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში. ყველა ამ კანონების დამტკიცებაში მუდამ შეტაკება მოსდიოდა სათემო პალატას ლორდთა პალატასთან, მარა საქმე იმ გამწვავებამდე არასოდეს არ მისულა, როგორც ეს უკანასკნელათ ბიუჯეტის საკითხში მოხდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გულ-წრფელი მადლობა გადავუხადო იმ დაწესებულებებს, კორპორაციებსა და კერძო პირთ, რომელთაც პატივი მცეს და თავიანთის მოლოცვებით მონაწილეობა მიიღეს ჩემს სასოფლო-სამეურნეო ასპარეზზე ოც-დაათი წლის მოღვაწეობის იუბილეიში.

ალექსანდრე ქალანთარი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

## მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. სად., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. სად., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. სალამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. სალამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მიხაილოვოში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.